 სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

# ხაშურის #2 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია

(ხაშურის მუნიციპალიტეტი)

## გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებული
პროექტი ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი (საქართველო I2Q)

თბილისი

2022 წ. ოქტომბერი

ქვე-პროექტის აღწერა

ხაშურის №2 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტში - ინკლუზიურობის, ინოვაციისა და ხარისხის (საქართველო (I2Q)) პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს.

ქვე-პროექტი მდებარეობს შიდა ქართლში, ქალაქ ხაშურში (საკადასტრო კოდი 69.08.62.077). ტერიტორიის ფართობია 5767 $მ^2$. სარეაბილიტაციო ტერიტორია მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ქვე-პროექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის მეშვეობით, მანძილი თბილისიდან 131 კმ შეადგენს. ტერიტორიაზე შესვლა შესაძლებელია რუსთაველის და ყიფიანის ქუჩებიდან.

მთავარი საგანმანათლებლო შენობა 1970-იანებში აიგო. სკოლა სეისმურად აქტიურ (8 მაგნიტუდის) ზონაში მდებარეობს. შენობის მდგრადობა შემოწმებულია 2021 წლის ოქტომბერში, სკოლის პროექტირების პირველ ეტაპზე. ზემოხსენებული კვლევის და რეკომენდაციების საფუძველზე (შენობის საძირკვლის და მზიდი კონსტრუქციების გამაგრება), სამშენებლო პროექტი 2022 წლის 4 ოქტომბერს იქნა შემუშავებული, მან გაიარა შესაბამისი შემოწმება (აკრედიტებული ექსპერტიზის კომპანიის შპს „ექსპერტიზას“ მიერ).

საქვაბე ოთხკუთხედ სვეტებზე მოწყობილ მცირე ზომის კონსტრუქციას წარმოადგენს. ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა გაუმართავია, შესაბამისად, ობიექტი წყლით მარაგდება ტერიტორიაზე არსებული ჭებიდან, რომელთაგან ერთი მდებარეობს სანიტარული კვანძის სიახლოვეს, ხოლო მეორე - სარდაფში. ტერიტორიაზე ხდება ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის მიწოდება. კანალიზაციის სისტემა მოწყობილია და დაერთებულია მუნიციპალურ საკანალიზაციო კოლექტორზე.

ახალი პროექტის და საპროექტო კრიტერიუმების თანახმად, ხაშურის #2 საჯარო სკოლა გათვლილია 443 მოსწავლეზე. ყველა არსებული კედელი სრულად გაიწმინდება ძველი ბათქაშისაგან, შეილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეიღებება წყლის ემულსიის საღებავით. ტუალეტებში კედლები მოპირკეთდება კერამიკული ფილებით.

ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მოედნის შეღობვა, დროებითი ნაგებობების მონტაჟი, როგორიცაა სანკვანძები, გამოსაცვლელი ოთახები მუშებისათვის, საწარმოო და სადარაჯო ჯიხურები, მასალის საწყობები და სახიფათო ნაჩენების შესანახი ობიექტები);
- მთავარი შენობის რეაბილიტაცია;
- არსებული საქვაბის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა;
- გარე საინჟინრო ქსელების რეაბილიტაცია და ახალი ქსელების მონტაჟი;
- სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა:
- წყალმომარაგების, გათბობის, ვენტილაციის, ელმომარაგების ქსელების მონტაჟი შენობისათვის. სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების დაერთება არსებულ მუნიციპალურ ქსელზე;
- სახანძრო სიგნალიზაციის და განათების სისტემების მონტაჟი.

საპროექტო ტერიტორიის ეზოში რამდენიმე ხე-მცენარე და ბუჩქია. ახალი პროექტის თანახმად, უნდა მოიჭრას არსებული ნარგავების 8 სახეობა. წითელ ნუსხაში შეტანილი ხეებისათვის, რომელიც უნდა მოიჭრას ან გადაირგას, კონტრაქტორი უნდა დაუკავშირდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო იმ ხეებისათვის, რომელიც არ არის შეტანილი წითელ ნუსხაში - ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, ხის ჭრის ნებართვის მოსაპოვებლად. ნებართვის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს საკომპენსაციო ზომებს, წარმოდგენილი ინვენტარიზაციის საფუძველზე. პროექტის ფარგლებში განხორციელდება საკომპენსაქციო თანხების გადახდა, ხოლო

საკომპენსაციო საქმიანობას განახორციელებს მშენებელი კონტრაქტორი. ხეების ჭრა განხორციელდება სპეციალურად ამ საქმისათვის განსაზღვრული სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.

თუმცა, ტერიტორიის ნაწილზე, რომელზეც განსაზღვრულია ახალი სტადიონის, გზის და საქვაბის მშენებლობა, ხეები და მცენარეები არ არის და დაფარულია ბალახით, რაც მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენასთან ერთად - სამუშაოების დაწყებამდე. სამუშაოები განაპირობებს 360 $м^3$ ნაყოფიერი ფენის გაშიშვლებას. აღნიშნული დროებით განთავსდება სამშენებლო ტერიტორიაზე. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება მოხდება საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. გამოვლენილი გრუნტი სრულად დაექვემდებარება ხელახალ გამოყენებას ეზოს კეთილმოწყობის პროცესში; კერძოდ, სპორტული მოედნის გარე პერიმეტრის მოწყობისას, ახალი საკომუნიკაციო ქსელების და ღობის საძირკვლის სიცარიელეების შესავსებად, ასევე სკოლაში მოსაწყობი პარკის მწვანე საფარის, გამწვანებული ტერიტორიის და სხვადასხვა დონის ზედაპირების ნიველირების პროცესში.

ქვე-პრექტის განხორციელოებისას მოსალოდნელი არ არის მიწის შესყიდვის და განსახლების პროცედურები.

ქვე-პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია დაახლოებით 10 $м^3$ აზბესტისშემცველი გადახურვის მასალის გენერირება.

## გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი

(ა) ზემოქმედების შეფასება

| | |
|---|---|
| **აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?** | ქვე-პროექტს ექნება მცირე უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე.<br>ძირითადი ზემოქმედება დაკავშირებულია სამშენებლო სამუშაოებთან, რაც მოიცავს სკოლის შენობის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, არსებული საქვაბის სადემონტაჟო და ახლის სამშენებლო სამუშაოებს, გარე საინჟინრო ქსელების სარეაბილიტაციო და ახალი ქსელების სამონტაჟო სამუშაოებს, სკოლის ტერიტორიის გამწვანების სამუშაოებს, შესასვლელი გზის რეაბილიტაციას და ბილიკების მოწყობას. |
| **რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?** | მცირე უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედება მხოლოდ მშენებლობის ეტაპზეა მოსალოდნელი, რაც მოკლე-ვადიანია და დაკავშირებულია მცირე მასშტაბის ტიპური სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებასთან მოდიფიცირებულ ლანდშაფტში: აღნიშნული დაკავშირებულია ხმაურთან, მტვერთან, ვიბრაციასთან და სამშენებლო მექანიზმებით გამოწვეულ ემისიებთან; ასევე მოსალოდნელია სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა; მომავალში ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სკოლის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ნარჩენების მართვასთან, რაც ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა უნდა ითავოს.<br>ქვე-პროექტი მოდიფიცირებული გარემოს მქონე არეალში მდებარეობს, შესაბამისად ზემოქმედება გარდამავალი და უმნიშვნელო იქნება (ხმაური, გამონაბოლქვები, სამშენებლო ნარჩენები, სატრანსპორტო და ქვეითად მოსიარულეთა მისასვლელების დროებითი შეზღუდვა, და ა.შ.).<br>შრომის ჯანდაცვა, უსაფრთხოების რისკები და გარემოს დაბინძურების რისკი დაკავშირებულია აზბესტისშემცველი გადახურვის მასალის მოხსნასთან.<br>ობიექტის ოპერირებისას, გარემოზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იქნას წარმოქმნილი მყარი ნარჩენების სათანადოდ მართვა. |
| **შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა** | ქვე-პროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი სოციალური ზემოქმედება, რადგან ადგილობრივებს გაუჩნდებათ წვდომა თანამედროვე ტიპის სკოლაზე, რომელიც ასევე მორგებული იქნება შეზღუდული შესაძლობლობის მქონე პირებზე. განახლებული სკოლა ასევე უზრუნველყოფს დასაქმების მეტ შესაძლებლობას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით წვლილს შეიტანს ეკონომიკის აღორძინებაში.<br>ქვე-პროექტის საბოლოო მიზანს წარმოადგენს განათლების ხარისხისა და პირობების გაუმჯობესება მოსწავლეებისათვის ქალაქ ხაშურში. |

| | |
|---|---|
| **პირებზე?** | სასწავლო სივრცეების, სათამაშო მოედნების, ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის და ზოგადი ინფრასტრუქტურის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მეშვეობით, სკოლის რეკონსტრუქცია დაუყოვნებელ სარგებელს მოუტანს მისით მოსარგებლეებს. გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება სასარგებლო იქნება, რადგან ადგილობრივი ბავშვები და მასწავლებები სკოლაში უზრუნველყოფილნი იქნებიან გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამუშაო პირობებით, მოსახლეობა გაზრდილ შემოსავალს მიიღებს განხორციელების პერიოდში (მუშახელის დასაქმება), და მშენებლობის შემდგომ.<br><br>სკოლების რეაბილიტაცია მოახდენს კონკრეტულ ზემოქმედებას შემოთავაზებული გაუმჯობესების ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე მომუშავე სამუშაო ძალის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. პროექტი შექმნის დროებით და გარკვეული რაოდენობის მუდმივი დასაქმების შესაძლებლობებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის (როგორ ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის), რადგან ისინი შეძლებენ დასაქმებას რეაბილიტაციის ეტაპზე და მოვლა-პატრონობისას. პროექტი შეძლებს აღნიშნული ზემოქმედების მონიტორინგს, გენდერის ინდიკატორების გამოყენებით. თანამედროვე სკოლის არსებობა თემში უფრო მეტ ადამიანს (განსაკუთრებით მათ, ვისაც ჰყავს სასკოლო ასაკის ბავშვები) მისცემს სოფელში/ქალაქში დარჩენის შესაძლებლობას.<br><br>უარყოფითი ზემოქმედება მოკლევადიანია და შემოიფარგლება სამშენებლო მოედნით. ის დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ შესაძლო დისკომფორტთან. სკო0ლა ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება. მიწის ნაკვეთი რეგისტრირტებულია მუნიციპალურ საკუთრებად (იხ. დანართი 4).<br><br>იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწავლო პროცესის პარალელურად განხორციელდება, განხილული უნდა იქნას სასწავლო პროცესის მახლობელ სკოლაში დროებით გადატანის ვარიანტი. თუ ეს უკანასკნელი განუხორციელებელია, სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაექვემდებარება სკოლის შენობის ნაწილი, რომელიც მიუწვდომელი იქნება ბავშვებისათვის (მაგ. რეაბილიტაცია უტარდება შენობის ერთ სართულს, ხოლო სწავლების პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ მეორეზე). სამუშაოების განხორციელებისას გამოყენებული უნდა იქნას პერსონალური დამცავი აღჭურვილობა.<br><br>ქვე-პროექტი ითვალისწინებს სკოლის შენობის ადაპტირებას შშმპ საჭირობებზე.<br><br>სკოლების შენობების რეაბილიტაცია, ან მშენებლობა გამოიწვევს დადებით ცვლილებებს, საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების კუთხით. აღსანიშნავია ასევე ხარჯების მნიშვნელოვანი დანაზოგი, რასაც საოპერაციო და მოვლა-პატრონობის ხარჯების შემცირება განაპირობებს. აღნიშნული პროექტით (I2Q) გამოწვეული ზოგადი პოზიტიური ზემოქმედება სოციალურ საკითხებზე და გარემოზე იქნება გრძელვადიანი და ზრდადი, |

| | |
|---|---|
| | რაც საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების სოციალური და ეკონომიკური სარგებლის ზრდას.<br><br>მიწის შესყიდვა და განსახლება მოსალოდნელი არ არის. |

(ბ) შემარბილებელი ღონისძიებები

| | |
|---|---|
| **რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას?** | პროექტით გათვალისწინებულია არსებული სკოლის რეაბილიტაცია, შესაბამისად, სკოლის პროექტთან დაკავშირებული სხვა ალტერნატივები არ განხილულა. |
| **ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?** | სამშენებლო სამუშაოების დროს მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირება გარემოზე მარტივად არის შესაძლებელი. კონტრაქტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ნარჩენების გატანა ნებადართულ ადგილას, მხოლოდ ლიცენზირებული კარიერების მასალის გამოყენება, წყლის და ნიადაგის დაბინძურების თავიდან აცილება, მოსახლეობის შეწუხების (ხმაური, მტვერი, ემისიები) პრევენცია - სამუშაოების წარმოების/მიწოდების, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის სწორი გრაფიკის ჩამოყალიბებით და სამშენებლო მექანიზმების გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა.<br><br>აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება, საწვავის და საპოხი მასალების გაჟონვაზე; ყველა მექანიზმის ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა უნდა განხორციელდეს ისე, რომ ყველა სახის გაჟონვა და მასალების დაღვრა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი; კონტრაქტორი ვალდებულია, რომ მოახდინოს დასაწყობების ადგილების ორგანიზება და გადახურვა. მასალების დასაწყობების ადგილები დაცული უნდა იყოს წყალგაუმტარი გადახურვით, რათა არ მოხდეს მათი გამორეცხვა ძლიერი წვიმების და წყალდიდობების დროს; იკრძალება მანქანების ტექნიკური მოვლა-პატრონობის ადგილების მოწყობა ნებისმიერი წყლის ობიექტიდან 50 მეტრში.<br><br>ქვე-პროექტის განხორციელების პროცესში მოხდება გამაფრთხილებელი ნიშნების გამოყენება და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მართვა სამუშაოების წარმოების გარშემო.<br><br>აზბესტისშემცველი ნარჩენების განკარგვა დიდ ყურადღებას მოითხოვს რათა თავიდან იქნას აცილებული მუშახელის და სამეზობლოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაზიანება და გარემოს დაბინძურება. შემარბილებელი ზომების სახით გამოყენებული უნდა იქნას: პერსონალური დამცავი საშუალებების დისციპლინირებული გამოყენება, ობიექტის მორწყვა, ობიექტზე სახიფათო ნარჩენების განცალკევებულად დასაწყობება, და მისი დროულად გატანა სპეციალურად გამოყოფილ ნაგავსაყრელზე, რომლის ექსპლუატაციასაც ახორციელებს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია. ადგილობრივი მოსახლეობა თავიდანვე გაფრთხილებული უნდა იქნას აზბესტისშემცველი მასალის ხელახალ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე და მათთან უზრუნველყოფილი უნდა იქნას შეთანხმება ამგვარი მასალის გატანის თაობაზე.<br><br>საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან |

| | |
|---|---|
| | საცხოვრებელი სახლები ობიექტის სიახლოვესაა განლაგებული. კონტრაქტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს კონკრეტული ღონისძიებების გატარება ადგილობრივებზე ზემოქმედების შესარბილებლად; აღნიშნული მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირებას მოსალოდნელი სამუშაოებისა და მუნიციპალური სერვისების დროებითი შეზღუდვების შესახებ, მსგავსი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში; უნდა მოხდეს ასევე სამუშაო საათების შეზღუდვა დღის განმავლობაში, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა და სხვ.<br><br>იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწავლო პროცესის პარალელურად განხორციელდება, განხილული უნდა იქნას სასწავლო პროცესის მახლობელ სკოლაში დროებით გადატანის ვარიანტი: ხაშურის N 5 სკოლები. განათლების და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს მოსწავლეების ალტერნატიულ ადგილზე გადაყვანის და სწავლების ყველა დროებით ზომას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწყვლად/უმცირესობების ჯგუფებს.<br><br>სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პროცესში მნიშვნელოვანი ხასიათის საფრთხეების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის - შესაბამისი სამშენებლო პრაქტიკის და უსაფრთხოების პროცედურების გამოყენების გამო. სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები უმჯობესია ჩატარდეს ზაფხულის თვეებში (როდესაც სკოლა არ მუშაობს) სასწავლო პროცესის შეფერხების მინიმიზაციის და ბავშვების ჩართულობით გამოწვეული სხვადასხვა შემთხვევების პრევენციის მიზნით.<br><br>საპროექტო ტერიტორიაზე სახეზეა ბალახის საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. სამუშაოების გამო, მოშიშვლდება 360 $მ^3$ ნაყოფიერი ფენა, რომელიც სრულად მოხმარდება გამწვანებას. მიწის სამუშაოების დაწყებამდე, საპროექტო ტერიტორია უნდა გაიწმინდოს ბალახოვანი მცენარეულობისაგან, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა კი უნდა მოიჭრას და დასაწყობდეს. |
| **წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?** | „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ (მგფ) ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საჯარო სკოლების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის ქვე-პროექტების განხორციელებაში. მსგავსი პროექტების განხორციელების საფუძველზე მიღებული გამოცდილების შესაბამისად, ტექნიკური პროექტით გათვალისწინებულია არა მხოლოდ სკოლის რეაბილიტაცია, არამედ გათბობის/ვენტილაციის/ცხელი წყლის მიწოდების/განათების სისტემების და ენერგოეფექტურობის პოტენციალის გაუმჯობესება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება - ენერგო ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.<br><br>სკოლის ინფრასტრუქტურა მორგებული იქნება შშმპ მიღებისა და მომსახურების საჭიროებებზე. |
| **ჩართული იყო თუ არა** | ქვე-პროექტი არსებულ მდგომარეობაზე რეაგირების მიზნით |

| | |
|---|---|
| **დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?** | შეიმუშავა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ხაშურის მუნიციპალიტეტთან ერთად.<br><br>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, 2023 წ. 27 იანვარს, გაიმართა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა, „ხაშურის №2 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის“ ქვე-პროექტისთვის მომზადებული ტექნიკური პროექტის, გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხილვის მიზნით. შეხვედრა გაიმართა ხაშურის №2 საჯარო სკოლის შენობაში.<br><br>კონკრეტული ადგილი შეირჩა პროექტის სპეციფიკის შესაბამისად. საკონსულტაციო შეხვედრის დეტალები (თარიღი, დრო და საკონტაქტო ინფორმაცია) წარმოდგენილი იყო განცხადებაში. განცხადებები გაიკრა ქუჩებში - ქვე-პროექტის ტერიტორიასთან, ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე და აიტვირთა მგფ-ის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდებზე.<br><br>საჯარო განხილვას ესწრებოდნენ  განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი, სკოლის მოსწავლეების მშობლების ჩათვლით. |

**(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა**

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ■

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის საკონტროლო სიის შევსებას

2. გარემოსდაცვით და სოციალურ განხილვას, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით ■

ქვე-პროექტის სოციალური და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის | დიახ | არა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი) | **X** | |
| 2 | ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული? | | **X** |
| 3 | გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ? | | **X** |
| 4 | გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას? | | **X** |
| თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით. | | | |
| **ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის** | | **დიახ** | **არა** |
| 5 | საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს? | | **X** |
| თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას **OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად. | | | |

**გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა**
**ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ**

| **ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები** | |
|---|---|
| **ქვეყანა** | საქართველო |
| **პროექტის დასახელება** | პროექტი ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი (საქართველო, I2Q) |
| **ქვე-პროექტის დასახელება** | ხაშურის #2 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია |
| **ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში** | ხაშურის №2 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტში - ინკლუზიურობის, ინოვაციისა და ხარისხის (საქართველო (I2Q)) პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს.<br><br>ქვე-პროექტი მდებარეობს შიდა ქართლში, ქალაქ ხაშურში (საკადასტრო კოდი 69.08.62.077). ტერიტორიის ფართობია 5767 $მ^2$. სარეაბილიტაციო ტერიტორია მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ქვე-პროექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის მეშვეობით, მანძილი თბილისიდან 131 კმ შეადგენს. ტერიტორიაზე შესვლა შესაძლებელია რუსთაველის და ყიფიანის ქუჩებიდან.<br><br>მთავარი საგანმანათლებლო შენობა 1970-იანებში აიგო. სკოლა სეისმურად აქტიურ (8 მაგნიტუდის) ზონაში მდებარეობს. შენობის მდგრადობა შემოწმებულია 2021 წლის ოქტომბერში, სკოლის პროექტირების პირველ ეტაპზე. ზემოხსენებული კვლევის და რეკომენდაციების საფუძველზე (შენობის საძირკვლის და მზიდი კონსტრუქციების გამაგრება), სამშენებლო პროექტი 2022 წლის 4 ოქტომბერს იქნა შემუშავებული, მან გაიარა შესაბამისი შემოწმება (აკრედიტებული ექსპერტიზის კომპანიის შპს „ექსპერტიზას“ მიერ).<br><br>საქვაბე ოთხკუთხედ სვეტებზე მოწყობილ მცირე ზომის კონსტრუქციას წარმოადგენს. ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა გაუმართავია, შესაბამისად, ობიექტი წყლით მარაგდება ტერიტორიაზე არსებული ჭებიდან, რომელთაგან ერთი მდებარეობს სანიტარული კვანძის სიახლოვეს, ხოლო მეორე - სარდაფში. ტერიტორიაზე ხდება ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის მიწოდება. კანალიზაციის სისტემა მოწყობილია და დაერთებულია მუნიციპალურ საკანალიზაციო კოლექტორზე.<br><br>ახალი პროექტის და საპროექტო კრიტერიუმების თანახმად, ხაშურის #2 საჯარო სკოლა გათვლილია 443 მოსწავლეზე. ყველა არსებული კედელი სრულად გაიწმინდება ძველი ბათქაშისაგან, შეილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეიღებება წყლის ემულსიის საღებავით. ტუალეტებში კედლები მოპირკეთდება კერამიკული ფილებით. |

| | |
|---|---|
| | ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:<br>• მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მოედნის შეღობვა, დროებითი ნაგებობების მონტაჟი, როგორიცაა სანკვანძები, გამოსაცვლელი ოთახები მუშებისათვის, საწარმოო და სადარაჯო ჯიხურები, მასალის საწყობები და სახიფათო ნაჩენების შესანახი ობიექტები);<br>• მთავარი შენობის რეაბილიტაცია;<br>• არსებული საქვაბის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა;<br>• გარე საინჟინრო ქსელების რეაბილიტაცია და ახალი ქსელების მონტაჟი;<br>• სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა:<br>• წყალმომარაგების, გათბობის, ვენტილაციის, ელმომარაგების ქსელების მონტაჟი შენობისათვის. სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების დაერთება არსებულ მუნიციპალურ ქსელზე;<br>• სახანძრო სიგნალიზაციის და განათების სისტემების მონტაჟი.<br><br>საპროექტო ტერიტორიის ეზოში რამდენიმე ხე-მცენარე და ბუჩქია. ახალი პროექტის თანახმად, უნდა მოიჭრას არსებული ნარგავების 8 სახეობა. წითელ ნუსხაში შეტანილი ხეებისათვის, რომელიც უნდა მოიჭრას ან გადაირგას, კონტრაქტორი უნდა დაუკავშირდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო იმ ხეებისათვის, რომელიც არ არის შეტანილი წითელ ნუსხაში - ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, ხის ჭრის ნებართვის მოსაპოვებლად. ნებართვის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს საკომპენსაციო ზომებს, წარმოდგენილი ინვენტარიზაციის საფუძველზე. პროექტის ფარგლებში განხორციელდება საკომპენსაქციო თანხების გადახდა, ხოლო საკომპენსაციო საქმიანობას განახორციელებს მშენებელი კონტრაქტორი. ხეების ჭრა განხორციელდება სპეციალურად ამ საქმისათვის განსაზღვრული სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.<br><br>თუმცა, ტერიტორიის ნაწილზე, რომელზეც განსაზღვრულია ახალი სტადიონის, გზის და საქვაბის მშენებლობა, ხეები და მცენარეები არ არის და დაფარულია ბალახით, რაც მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენასთან ერთად - სამუშაოების დაწყებამდე. სამუშაოები განაპირობებს 360 მ3 ნაყოფიერი ფენის გაშიშვლებას. აღნიშნული დროებით განთავსდება სამშენებლო ტერიტორიაზე. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება მოხდება საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. გამოვლენილი გრუნტი სრულად დაექვემდებარება ხელახალ გამოყენებას ეზოს კეთილმოწყობის პროცესში; კერძოდ, სპორტული მოედნის გარე პერიმეტრის მოწყობისას, ახალი საკომუნიკაციო ქსელების და ღობის საძირკვლის სიცარიელეების შესავსებად, ასევე სკოლაში მოსაწყობი პარკის მწვანე საფარის, გამწვანებული ტერიტორიის და სხვადასხვა დონის ზედაპირების ნიველირების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | პროცესში.<br>ქვე-პრექტის განხორციელოებისას მოსალოდნელი არ არის მიწის შესყიდვის და განსახლების პროცედურები.<br>ქვე-პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია დაახლოებით 10 მ3 აზბესტისშემცველი გადახურვის მასალის გენერირება. | | |
| **ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)** | სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: შირო ნაკატა | გარემოს დაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტები<br>დარეჯან კაპანაძე - *გარემოს დაცვა*<br>დავით ჯიჯელავა - *სოციალური საკითხები* | |
| **განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)** | განმახორციელებელი ერთეული:<br>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი | სამუშაოთა ზედამხედველი:<br>კომპანია Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain | სამუშაოთა კონტრაქტორი:<br>TBD |
| **ადგილმდებარეობის აღწერა** | | | |
| **ინსტიტუციის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი** | ხაშურის მუნიციპალიტეტი | | |
| **ინსტიტუციის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი** | საქართველო, ხაშური, (0368) ტაბიძის ქუჩა N2<br>24 15 02; Info@khashuri.gov.ge | | |
| **ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)** | სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტი | | |
| **ფიზიკური და ბუნებრივი გარემო, ობიექტის გარშემო არსებული სოციო-ეკონომიკური კონტექსტი** | ხაშური აღმოსავლეთ საქართველოს შიდა ქართლის რეგიონის პატარა ქალაქია, რომელიც შიდა ქართლის დაბლობზე მდებარეობს მდინარე სურამულას ნაპირზე, ზღვის დონიდან 700 მეტრ (2,300 ფუტ) სიმაღლეზე | | |

| | |
|---|---|
| | აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან იგი ქარელის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება, სამხრეთით და დასავლეთით - ბორჯომის მუნიციპალიტეტს, ჩრდილოეთით - საჩხერეს მუნიციპალიტეტს, ხოლო დასავლეთით - ხარაგაულის მუნიციპალიტეტს. მოსახლეობის აღწერის 2014 წლის მონაცემის თანახმად, ქალაქის მოსახლეობა 26,135 შეადგენდა. ქალაქი უმეტესწილად ქართველებით არის დასახლებული. ქვე-პროექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის მეშვეობით, მანძილი თბილისიდან 131 კმ შეადგენს.<br><br>ხაშურის კლიმატი თბილი და ზომიერია. ნალექები უხვია ყველაზე მშრალ თვეშიც კი. აქ საშუალო ტემპერატურა 9.3 °C შეადგენს. ნალექების საშუალო წლიური მოცულობაა 737 მმ.<br><br>PN 01.05-08 ("სამშენებლო კლიმატოლოგია") თანახმად, საპროექტო არეალის ძირითადი კლიმატური მახასიათებლებია:<br><br>• საშუალო წლიური ტემპერატურა - +9.6$^0$ C;<br>• ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი - -27.0$^0$ C;<br>• ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი - +37.0$^0$ C;<br>• წლიური ნალექების მოცულობა - 781.0 მმ;<br>• ქარის მაქსიმალური სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ - 31.0 მ/წმ;<br>• ქარის წნევის ნორმალური სიდიდეა 0.38 კპა 5 წელიწადში ერთხელ; 30 წელიწადში ერთხელ- 0.48 კპა;<br>• ქარის გავრცელებული მიმართულება - ჩრდილოაღმოსავლეთის;<br>• თოვლის საფარის წონა - 0.88 კპა;<br>• თოვლის საფარის დღეების რაოდენობა - 66;<br>• ნიადაგის სეზონური გაყინვის ნორმალური სიღრმე - თიხიანი ნიადაგისთვის - 27 სმ.<br><br>მუნიციპალიტეტის ჰიდროგეოლოგიური ქსელი წარმოდგენილია შემდეგი მდინარეებით: სურამულა, სათიბე, ჭერათხევი, თილიანა.<br><br>სარეაბილიტაციო სკოლაში დადის ადგილობრივი თემების წარმომადგენელი 370 მოსწავლე. მოცემული სკოლა ემსახურება დაახლოებით 250 ადგილობრივ თემს, რომელთა ბავშვებიც ამ სკოლაში სწავლობენ. იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწავლო პროცესის პარალელურად განხორციელდება, განხილული უნდა იქნას სასწავლო პროცესის მახლობელ სკოლაში დროებით გადატანის ვარიანტი: ხაშურის N5 სკოლები. განათლების და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს მოსწავლეების ალტერნატიულ ადგილზე გადაყვანის და სწავლების ყველა დროებით ზომას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწყვლად/უმცირესობების ჯგუფებს.<br><br>ქალაქის მაცხოვრებლების რაოდენობა 26 135 სულია (მამაკაცი -12 492, ქალი – 13 643; 0-4 წლის ასაკის – 3442, 5-9 წლის ასაკის - 3299). ქალაქის მოსახლეობის 59% დასაქმებულია კერძო ან საჯარო სექტორში. ქალაქში არის 32 საჯარო სკოლა და 13 სკოლამდელი დაწესებულება. |
| **მასალების, მათ შორის შემავსებლების, განსაკუთრებით, წყლის** | ობიექტზე წყლის მიწოდება განხორციელდება მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემიდან. |

| | |
|---|---|
| **და ქვების მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან** | უახლოესი ლიცენზირებული კარიერი მდებარეობს დაახლოებით 5-7 კმ რადიუსში..<br><br>მანძილი ნარჩენების უახლოეს ოფიციალურ ნაგავსაყრელამდე 3.5 კმ-ია. ნაგავსაყრელი მდებარეობს გორგასლის ქუჩაზე. ქალაქის მუნიციპალურ ნარჩენებს 'ხაშურსერვისი' მართავს, რომელიც 'საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის' ლიცენზირებულ ნაგავსაყრელს წარმოადგენს. ნაგავსაყრელი ასევე იღებს სამშენებლო ნარჩენებს. |
| **კანონმდებლობა** | |
| **ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები** | I2Q პროექტი განხორციელებულია მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის OP/BP 4.01 – გარემოსდაცვითი შეფასების შესაბამისად. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, წარმოდგენილი ქვე-პროექტი კლასიფიცირდა გარემოსდაცვითი „B" კატეგორიის პროექტად და წარმოდგენილი დოკუმენტი (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP)) სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის იქნა შემუშავებული - ბანკის სამოქმედო პოლიტიკის (OP/BP 4.01) და I2Q პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) პრინციპების შესაბამისად.<br><br>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის რეაბილიტაცია არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემას, თუმცა ეროვნული რეგულაციების თანახმად:<br><br>(i) სამშენებლო მასალების შემენა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;<br>(ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შემენისა);<br>(iii) იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები, ან 200 ტონაზე მეტი არა-სახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების მართვის გეგმა და შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მოამზადოს ანგარიში ნარჩენების ინვენტარიზაციის შესახებ, დანიშნოს გარემოს დაცვის მენეჯერი და მის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;<br>(iv) სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან შეთანხმებულ ოფიციალურ ნაგავსაყრელზე, ან ადგილობრივ (მუნიციპალურ) გამგეობასთან შეთანხმებულ ადგილას; |

| | |
|---|---|
| | (v) აზბესტის შემცველი მასალის დემონტაჟი უნდა მოხდეს უსაფრთხოების კონვენციური წესების შესაბამისად და გატანილ იქნას უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, 2016 წ. 29 მარტის საქართველოს მთავრობის #145 დადგენილებით და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული წესების და ნორმების შესაბამისად;<br>(vi) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება მოხდება საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.<br>(vii) მიწის სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ინერტული მასალის (მოჭრილი მიწა და ნატანი გრუნტი) მუდმივი განთავსების ადგილი წერილობით უნდა შეთანხმდეს ხაშურის (მუნიციპალურ) გამგეობასთან;<br>დაცული უნდა იქნას GOST და SNIP ნორმები. |

**საჩივრების მოგვარების მექანიზმი**

საჩივრების მოგვარების მექანიზმი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს აძლევს მათთვის მიუღებელი სამუშაოების, ან გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

საჩივრების მოგვარების მექანიზმის არსებობის შესახებ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები გაიგებენ საჯარო კონსულტაციების შედეგად და გავრცელებული ბროშურებით - სამუშაოების დაწყებამდე. შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი განცხადებები გაიკვრება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობების ჰოლებში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები მიიღებენ სრულ ინფორმაციას მათი უფლებებისა და პრეტენზიების ზეპირად, ან წერილობით გასაჩივრების პროცედურების შესახებ, როგორც მშენებლობის წინა, ასევე მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპებზე. საჩივრების მოგვარების მექანიზმის ამოქმედებასთან მიმართებაში, პრიორიტეტი მიენიჭება საჩივრების პრევენციას.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ მოგვარდება ადგილობრივ დონეზე, საჩივრის შემოტანა მოხდება მგფ-ში. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მგფ ახდენს ყველა მიღებული საჩივრის, შენიშვნების და იმის, თუ როგორ მოხდება საჩივრის მოგვარება - რეგისტრაციას. საჯარო კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება საჩივრების მოგვარების პროცესის შესახებ და ისინი მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების თაობაზე.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან საკონტაქტო პირია მარინე ჟვანია ( ტელ: +995 577 27 88 41, marina.zhvania@iiq.gov.ge, 0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის N 52);

მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირია ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19; feedback@mdf.org.ge ; მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-4 სართული, 0112, თბილისი, საქართველო).

**საჯარო კონსულტაცია**

| | |
|---|---|
| **სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?** | საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა, „ხაშურის N2 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის“ ქვეპროექტისთვის მომზადებული ტექნიკური პროექტის, გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშის და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხილვის მიზნით, გაიმართა 2023 წ. 27 იანვარს.<br><br>ინფორმაცია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ გამოცხადდა მგფ-ის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდებზე. განცხადებები ასევე განთავსდა სკოლაში და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობაში - საინფორმაციო დაფებზე.<br>საჯარო საკონსულტაციო შეხვედრას ესწრებოდნენ სამინისტროს და დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, მათ შორის - სკოლის მასწავლებლები.<br><br>კონსულტაციის მიზანი იყო დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ქვეპროექტის, დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო უარყოფითი/დადებითი ზემოქმედების, და მათი პრევენციისა თუ შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.<br><br>კონსულტაციის პროცესის ოქმი თანდართულია მოცემულ ESMP-ზე. |
| **დანართები** | |
| დანართი 1: ორთო-ფოტო<br>დანართი 2: გენ. გეგმა<br>დანართი 3: ტოპო-გეგმა<br>დანართი 4: საკადასტრო ინფორმაცია<br>დანართი 5: საკადასტრო გეგმა<br>დანართი 6: ობიექტის ამსახველი ფოტოები<br>დანართი 7: პროექტის ნახაზები (3დ ვიზუალიზაცია და სხვ.)<br>დანართი 8: გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის პროექტზე გამართული საჯარო კონსულტაციის ოქმი (წარმოსადგენია მგფ-ის მიერ)<br>დანართი 9: შეთანხმებები/ლიცენზიები (წარმოსადგენია) | |

## ნაწილი B: ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ

| **გარემოსდაცვითი/ სოციალური სკრინინგი** | | | |
|---|---|---|---|
| მოიცავს თუ არა ადგილზე აქტივობა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს? | **აქტივობა/ საკითხი** | **სტატუსი** | **მოქმედებაში მოყვანილი აქტივობა** |
| | 1. რეაბილიტაცია | [x] დიახ [ ] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **A** |
| | 2. ახალი მშენებლობა | [ ] დიახ [x] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **A** |
| | 3. საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ინდივიდუალური სისტემა | [ ] დიახ [x] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. იხ. ქვემოთ ნაწილი **B** |
| | 4. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები | [ ] დიახ [x] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **C** |
| | 5. მიწის შეძენა[1] | [ ] დიახ [x] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **D** |
| | 6. ზემოქმედება მიწით და საკუთრებით სარგებლობაზე | [x] დიახ [ ] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი E |
| | 7. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები[2] | [x] დიახ [ ] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **F** |
| | 8. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე | [ ] დიახ [x] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **G** |
| | 9. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ განკარგვა | [ ] დიახ [x] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **H** |

[1] მიწის შესყიდვა გულისხმობს ადამიანთა ადგილმონაცვლეობას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს - ჯიხურებს) მიწაზე, რომლიც შეძენაც მიმდინარეობს.

[2] ტოქსიკური/ სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება აზბესტით, ტყვიის შემცველი და სხვა ტოქსიკური საღებავებით, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელებით და ა.შ.

| | | | |
|---|---|---|---|
| | 10. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება | ■ დიახ [ ] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **I** |
| | 11. საზოგადოება და შრომის ჯანდაცვა და უსაფრთხოება | ■ დიახ [ ] არა | თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **J** |

ნაწილი C: ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

| აქტივობა | პარამეტრი | ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი |
|---|---|---|
| **0**. ზოგადი პირობები | შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება | (a) მშენებლობის და გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი ზედამხედველების და თემების ინფორმირება დაგეგმილი სამუშაოების შესახებ;<br>(b) საჯარო ინფორმირება სამუშაოების შესახებ მედიაში და/ან საჯარო ადგილებში (მათ შორის, სამუშაოების წარმოების ტერიტორიაზე) შესაბამისი შეტყობინების გავრცელებით;<br>(c) მშენებლობის და/ან რეაბილიტაციისთვის საჭირო ყველა ოფიციალური ნებართვის მიღება;<br>(d) ყველა სახის სამუშაოების უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად შესრულების ოფიციალური შეთანხმება დამკვეთთან, მეზობელ რეზიდენტებსა და გარემოზე (პროექტით გამოწვეული) ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად;<br>(e) მუშების პირადი დაცვის აღჭურვილობის შესაბამისობის უზრუნველყოფა კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან (დამცავი ჩაფხუტების მუდმივად ტარება, ხოლო ნიღბების, დამცავი სათვალეების, უსაფრთხოების ღვედების და სპეციალური ფეხსაცმელების ტარება - საჭიროებისამებრ);<br>(f) სამშენებლო ტერიტორიაზე შესაბამისი ნიშნების დადგმა, ძირითადი წესებისა და რეგულაციების შესახებ მუშების ინფორმირების მიზნით. |
| **A.** ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო აქტივობები | ჰაერის ხარისხი | (a) ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე; ამასთან, ნარჩენებზე უნდა მოხდეს წყლის მოსხმა, მტვრის შესამცირებლად;<br>(b) პნევმატური ბურღვის/ კედლების ნგრევის პროცესის შედეგად მიღებული მტვერის გავრცელება უნდა შეიზღუდოს წყლის მოსხმით და /ან ადგილზე მტვრის საწინააღმდეგო ეკრანის დამონტაჟებით;<br>(c) მიმდებარე ტერიტორია (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს (სამშენებლო) ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;<br>(d) სამშენებლო მასალის/ნარჩენების ღია ტიპის წვა სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა განხორციელდეს; |

| | | |
|---|---|---|
| | | (e) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში უქმად არ უნდა იყოს გაჩერებული (საპროექტო) ტერიტორიაზე.<br>(f) მანქანებზე დატვირთული მასალა გადახურული და დაცული უნდა იყოს. |
| | ხმაური | (a) სამშენებლო ხმაური უნდა შეიზღუდოს დღის სამუშაო საათებით;<br>(b) ოპერირებისას გენერატორების, დახურული ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან, დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს დასახლებული ტერიტორიებიდან.<br>(c) მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე შეზღუდული უნდა იყოს; |
| | წყლის ხარისხი | (a) ადგილზე მოხდება ეროზიისა და დანალექების საკონტროლო ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა თივის შეკვრებისა და/ან ლამის მესერების დამონტაჟება, რაც ხელს შეუშლის დანალექების სამშენებლო ტერიტორიებიდან გასვლას და ახლომდებარე ნაკადებისა და მდინარეების ზედმეტ ამღვრევას;<br>(b) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების გარეცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისად გამოყოფილ ადგილას, სადაც წყლის ჩამონადენი არ დააბინძურებს ბუნებრივი ზედაპირის წყლის ობიექტებს.<br>(c) საპოხი მასალები, საწვავი და გამხსნელები უნდა დასწყობდეს და გამოყენებული იქნას მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ნიადაგის საფარი და შესაძლო დაღვრების შეკავების საშუალება. ობიექტზე ხელმისაწვდომიუ უნდა იყოს დაღვრის შემაკავებელი მასალა (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი, და ა.შ.). |
| | ნარჩენების მართვა | (a) წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის შემცირება, შეძლებისდაგვარად.<br>(b) სხვადასხვა ტიპის ნარჩენების განცალკევება და მათი ხელახალი გამოყენება/გადამუშავება, შეძლებისდაგვარად;<br>(c) ნარჩენების სხვადასხვა ტიპებისთვის დროებითი განთავსების ადგილების გამოყოფა. დაუშვებელია საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების ზედმეტი მოცულობების აკუმულაცია;<br>(d) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრის და ზედმეტი მასალის (ინერტული სამშენებლო მასალა) საბოლოო განთავსების მიზნით ოფიციალური ნებართვების მიღება მუნიციპალური უწყებებიდან; |

| | | |
|---|---|---|
| | | (e) სახიფათო ნარჩენების, ან ლიცენზირებული კომპანიებისთვის აღნიშნული ნარჩენების გადაცემის საკითხის დროული გადაწყვეტა. |
| | მასალების მიწოდება | (a) მასალები შეძენილი უნდა იქნეს იმ არსებული საწარმოებისა და კარიერებისაგან, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ოფიციალური ნებართვა, ან მოქმედი ლიცენზია საქმიანობის განსახორციელებლად;<br>(b) მოპოვებული უნდა იქნეს შესაბამისი ლიცენზია, თუ საჭიროა ახალი კარიერის გახსნა;<br>(c) კარიერების ტერიტორიების გამოყენებული მონაკვეთების აღდგენა, ექსტრაქციის (მოპოვების) გაგრძელების შემთხვევაში, ან მათი სათანადოდ დახურვა, ექსტრაქციის (მოპოვების) დასრულების და ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემთხვევაში;<br>(d) მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკის საათებში;<br>(e) სიჩქარის მარეგულირებელი, მიმართულების შეცვლის აღმნიშვნელი და გამაფრთხილებელი ნიშნების უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებისთვის - საჭიროების შესაბამისად. |
| | მიწის სამუშაოები | (a) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უნდა მოიხსნას მიწის სამუშაოების დაწყებამდე;<br>(b) გამოყენებული უნდა იქნას ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვის სათანადო პრაქტიკა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური აქტივობის შენარჩუნება. ეროზიის თავიდან ასაცილებლად უნდა აღიმართოს დროებითი დამცავი ლამის ღობე;<br>(c) შენახული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული უნდა იქნას აღდგენითი და გამწვანების სამუშაოებისათვის.<br>(d) ნიადაგი იმ ადგილებიდან, რომელიც არ ექვემდებარება პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენას, ფრთხილად უნდა გადანაწილდეს მიმდებარე ტერიტორიაზე.<br>(e) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღდგენა ქვედა ფენისაგან განცალკევებით უნდა მოხდეს, თავიდან უნდა იქნას აცილებული ამ მასალების აღრევა. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღდგენა იმ ხარისხში უნდა მოხდეს, რომ საწყის დონეზე აღდგეს ნაყოფიერი სიღრმე, როგორც ეს სახეზეა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ზოლში მისი ვიზუალური დათვალიერებისას და აღდგენილი ობიექტის მიმდებარე ნაკვეთთან შედარებისას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩანაცვლებისას, კონტრაქტორმა იმგვარად უნდა დაგეგმოს სამუშაოები, რომ რულონებისაგან ყველაზე შორს მყოფი ტერიტორიები პირველ რიგში აღდგეს, და აღდგენა თანდათანობით |

| | | |
|---|---|---|
| | | უახლოვდებოდეს რულონებს, ამგვარად შემცირდება ტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილ ნაყოფიერ ფენაზე. შემდგომ, უნდა მოხდეს აღდგენილი ნაყოფიერი ფენის დაფარცხვა, რათა დაცული იქნას სტაბილურობა და ხელი შეეწყოს მცენარეული საფარის ზრდას.<br>(f) მიწის სამუშაოებისას შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა მყისიერად უნდა შეაჩეროს ობიექტზე ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა და შეატყობინოს მგფ-ს. მგფ-მა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც გადაიბარებს პასუხისმგებლობას შემდგომ ქმედებებთან დაკავშირებით. სამუშაოების განახლება შესაძლებელია მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილობითი ნებართვის მიღების შემდეგ. |
| F. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები | აზბესტის მართვა | (a) თუ აზბესტი ქვე-პროექტის ტერიტორიაზეა განთავსებული, მისი, როგორც სახიფათო მასალის მარკირება უნდა მოხდეს გარკვევით;<br>(b) იქ, სადაც შესაძლებელი იქნება, აზბესტი სათანადოდ უნდა შეიფუთოს და დაილუქოს, ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;<br>(c) გატანამდე (გატანის საჭიროების შემთხვევაში), აზბესტი უნდა დამუშავდეს დამატენიანებელი საშუალებებით, აზბესტის მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;<br>(d) აზბესტის მართვა და გატანა უნდა განხორციელდეს კვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალების მიერ;<br>(e) აზბესტის მასალის დროებით დასაწყობების შემთხვევაში, მასალა უსაფრთხოდ უნდა განთავსდეს დახურულ ნაგებობებში და მოინიშნოს შესაბამისად. შესაბამისი ზომების გატარება, რათა არ მოხდეს მასალის უნებართვო გატანა საპროექტო ტერიტორიიდან;<br>(f) დაუშვებელია მოხსნილი აზბესტის ხელახალი გამოყენება; |
| | ტოქსიკური / სახიფათო ნარჩენების მართვა | (a) ყველა სახიფათო, ან ტოქსიკური ნივთიერების დროებითი დასაწყობება საპროექტო ტერიტორიაზე უნდა მოხდეს უსაფრთხო კონტეინერებში - შესაბამისი ეტიკეტით, რომელზეც ასახული იქნება ინფორმაცია შემადგენლობის, მახასიათებლების და განკარგვის შესახებ;<br>(b) სახიფათო ნივთიერებების შემცველი კონტეინერები უნდა განთავსდეს ჰერმეტულად დალუქულ კონტეინერებში, დაღვრის, ან გამოტუტვის თავიდან ასაცილებლად;<br>(c) ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე; ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებულ ადგილას; |

| | | |
|---|---|---|
| | | (d) დაუშვებელია ტოქსიკური ინგრედიენტების, გამხსნელების, ან ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება. |
| J. საზოგადოების და შრომის ჯანდაცვა და უსაფრთხოება | საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა | (a) კონტრაქტორის ჯგუფში გამოყავით პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და მათი თხოვნების/საჩივრების მიღებაზე;<br>(b) გაიარეთ კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამუშაოების განმახორციელებლებსა (დაქირავებულ სამუშაო ძალასა) და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტების გამოვლენის და შესაბამისად მართვის მიზნით;<br>(c) მოახდინეთ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სამუშაოების განმახორციელებლების (დაქირავებულ სამუშაო ძალის ტერიტორიაზე) ყოფნასთან დაკავშირებით, სექსუალურად გადამცემი დაავადებების რისკის შესახებ და ჩართეთ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში;<br>(d) აცნობეთ მოსახლეობას მშენებლობის და სამუშაოების გრაფიკების შესახებ, ასევე სერვისების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტების, ავტობუსების დროებითი მარშრუტების და აფეთქებისა და ნგრევის შესახებ, საჭიროებისამებრ;<br>(e) ღამით შეზღუდეთ სამშენებლო საქმიანობა. აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყავით ღამის სამუშაოების ფრთხილად დაგეგმვა და მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, რათა მათ შეძლონ ყველა საჭირო ზომის მიღება;<br>(f) მოსახლეობის მინიმუმ ხუთი დღით ადრე ინფორმირება, რომელიმე სერვისის (მათ შორის, წყლის, ელექტროენერგიის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების) შეწყვეტამდე; მოსახლეობის გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდება სამუშაო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/ბიზნეს ობიექტებზე;<br>(g) დამკვეთის მიერ შექმნილი საჩივრების მოგვარების მექანიზმის საშუალებით წამოჭრილი პრობლემური საკითხების მოგვარება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში;<br>(h) სამუშაო ბანაკები არ განათავსოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო სიახლოვეს, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი; |

| | | |
|---|---|---|
| | | (i) სამუშაო ბანაკების განთავსება და ოპერირება განახორციელეთ მეზობელ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე. |
| | სამუშაო რესურსების მართვა | (a) არა-კვალიფიცირებული, ან ნახევრად-კვალიფიცირებული მუშების დაქირავება მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობიდან, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერების მიზნით, ჩატარდეს მუშებისთვის შესაბამისი სწავლება (ტრენინგი), როდესაც და სადაც ასეთი ტრენინგის ჩატარება იქნება შესაძლებელი;<br>(b) სამუშაო ტერიტორიაზე შესაბამისი სან. კვანძების ობიექტების (ტუალეტების და დასაბანი ადგილების) მოწყობა, ცხელი და ცივი წყლის, საპნის და ხელის საშრობი მოწყობილობების უზრუნველყოფით. ნებისმიერი სამუშაო ბანაკისთვის უნდა მოხდეს დროებითი სეპტიკური ავზის სისტემის მოწყობა, რამაც არ უნდა გამოიწვიოს მახლობლად მდებარე წყლის ნაკადების დაბინძურება;<br>(c) მუშების ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ზოგადი ურთიერთობის მართვის საკითხებზე, ქცევის კოდექსის შემუშავება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და აღნიშნული კოდექსის მკაცრად დაცვა, რაც მოიცავს მუშების (სამსახურიდან) გაშვებას და შესაბამისი მოცულობის ფინანსური ჯარიმების დაკისრებას;<br>(d) ზედამხედველი ინჟინრის და დამკვეთის სასწრაფო ინფორმირება სამუშაოების წარმოების ადგილზე მომხდარი ნებისმიერი ინციდენტის შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ან გარემოზე. |

## ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

| საქმიანობა | რა<br>პარამეტრის მონიტორინგი ხდება? | სად<br>ტარდება მონიტორინგი | როგორ<br>უნდა განხორციელდეს მონიტორინგი | როდის<br>რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი? | რატომ<br>ხდება პარამეტრის მონიტორინგი | ვინ<br>არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე? |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სამშენებლო ფაზა** | | | | | | |
| სამშენებლო მასალების მიწოდება | სამშენებლო მასალების შემენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან | მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში | დოკუმენტების შემოწმება | მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას | ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |
| სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება | სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების სტანდარტული ტექნიკური მდგომარეობა;<br><br>სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით;<br><br>ტრანსპორტირებისათვის დადგენილი დროისა | სამშენებლო ტერიტორია | ინსპექტირება | გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში | მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება;<br><br>ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა;<br><br>ტრანსპორტის მოძრაობის | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | და მარშრუტების დაცვა. | | | | დარღვევის მინიმუმამდე შემცირება. | |
| მიწის სამუშაოები | ნათხარი მიწის დროებითი დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ადგილას;<br><br>ნათხარი მიწის უკუჩაყრა და/ან მისი გატანა ოფიციალურად განსაზღვრულ ადგილას;<br><br>შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერება, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის შეტყობინება და სამუშაოების განახლება მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოფიციალური ნებართვის მიღების შემდეგ. | სამშენებლო ტერიტორია | ინსპექტირება | მიწის სამუშაოების წარმოებისას; | სამშენებლო მოედნისა და მისი შემოგარენის სამშენებლო ნაგვით დაბინძურების თავიდან აცილება, ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანებისა და დაკარგვის თავიდან აცილება, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დანაკარგის თავიდან აცილება. | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა მიწის სამუშაოების დაწყებამდე;<br><br>ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვის სათანადო პრაქტიკის გამოყენება. დროებითი დამცავი ლამის ღობის აღმართვა;<br><br>ნიადაგის მოხსნილი ნაყოფიერი ფენის გამოყენება აღდგენითი სამუშაოებისა და გამწვანებისათვის. | | | | | |
| ბუნებრივი სამშენებლო მასალების წყარო | მასალების შეძენა არსებული მომწოდებლებისგან, თუ ეს შესაძლებელია;<br><br>(მასალების) მოპოვების ლიცენზიის მიღება სამუშაოების კონტრაქტით და ლიცენზიით განსაზღვრული პირობების მკაცრი დაცვა; | კარიერები | დოკუმენტების შემოწმება<br><br>ვიზუალური ინსპექტირება | მასალების მოპოვების პროცესში | ფერდობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შეზღუდვა;<br><br>მდინარის ნაპირების ეროზიის, წყლის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების და წყლის ბინადართა შეწუხების | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კარიერის ტერიტორიის დატერასება, კარიერის ტერიტორიის დამუშავებულ მონაკვეთებზე უკუჩაყრის განხორციელება და ჰარმონიზაცია ლანდშაფტთან;<br><br>მდინარის ხრეშის და ქვიშის ექსკავაცია წყლის ბიეფის მიღმა, ხრეშის დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის არეალსა და წყლის დინებას შორის და მექანიზმების წყლის ბიეფში შესვლის აკრძალვა; | | | | შეზღუდვა;<br><br>მოსახლეობის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაცვა დაზიანებისაგან | |
| სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა | სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;<br><br>ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში. | სამშენებლო ტერიტორია;<br><br>ნარჩენების განთავსების ტერიტორია | ინსპექტირება | პერიოდულად - მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში | სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა | აზებსტისშემცველი ნარჩენების სათანადოდ იზოლაცია და მისი, როგორც სახიფათო მასალის მარკირება გარკვევით;<br>აზბესტი უნდა დამუშავდეს დამატენიანებელი საშუალებებით, აზბესტის მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;<br>პერსონალი, რომელსაც საქმე აქვს აზებსტისშემცველ ნარჩენებთან უნდა ატარებდეს სრულ დამცავ ჩაცმულობას, დამცავ ნიღბებს და სათვალეებს;<br>არ უნდა მოხდეს მასალის უნებართვო გატანა საპროექტო ტერიტორიიდან;<br>ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა განთავსდეს დახურულ ნაგებობებში და მოინიშნოს შესაბამისად, როგორც 'სახიფათო'; აზბესტის შემცველი მასალის | სამშენებლო ტერიტორია; | დოკუმენტების შემოწმება<br><br>ვიზუალური ინსპექტირება | სადემონტაჟო სამუშაოების მსვლელობაში | ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან აცილება, მუშახელის ჯანმრთელობის დასაცავად. | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დემონტაჟი უნდა მოხდეს უსაფრთხოების კონვენციური წესების შესაბამისად და გატანილ იქნას უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ზედამხედველი კომპანიის წარმომადგენლების ზედამხედველობის ქვეშ. | | | | | |
| ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა | სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება;<br><br>სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე. | სამშენებლო ტერიტორიაზე და სამშენებლო ტერიტორიის გარშემო | ინსპექტირება | სამშენებლო სამუშაოების პერიოდში | სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივი მაცხოვრებლების შეწუხების შეზღუდვა; | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |
| მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | მუშების ფორმებით და პერსონალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა და მათი | სამშენებლო ტერიტორია | ინსპექტირება | გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას | საწარმოო უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გამოყენების ვალდებულება; სასმელი წყლის უზრუნველყოფა და განცალკავებული ტუალეტების მოწყობა, იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულები არიან კაცები და ქალები; მუშახელისა და პერსონალის ინფორმირება უსაფრთხოების წესების და სამშენებლო აღჭურვილობის და მექანიზმების ექსპლოატაციის წესების შესახებ; კოვიდ-19-ის ინფექციის პრევენციისა და საპასუხო რეაგირების სამოქმედო გეგმის შემუშავება და მასთან შესატყვისობა; | | | | თავიდან აცილება | |
| საქმიანობა დასახლებაში | პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირება მომავალი სამუშაოების და მუნიციპალური | სამშენებლო ტერიტორია | ინსპექტირება | პერიოდულად | ადგილობრივი მაცხოვრებლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შეწუხების მინიმუმამდე შემცირება | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მომსახურების მიწოდების დროებითი შეფერხების შესახებ, რამაც შესაძლოა თავი იჩინოს სამუშაოების წარმოების პროცესში; სამუშაო საათების შეზღუდვა დღის განმავლობაში, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა და სხვ;<br>სახლებთან და ბიზნეს ობიექტებთან ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო მისასვლელის უზრუნველყოფა და ადამიანების/ცხოველების ამოთხრილ ორმოებში, თხრილებში და ღრმულებში შემთხვევითი ჩავარდნისაგან დაცვა; გზის გაყოლებაზე არსებული ღობეების და | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სხვა კერძო საკუთრების დაზიანების პრევენცია და დაუყოვნებლივი აღდგენა, დაზიანების შემთხვევაში. | | | | | |
| **საოპერაციო ფაზა** | | | | | | |
| ნარჩენების წარმოქმნა რეაბილიტირებული სკოლის ექსპლუატაციის შედეგად | მყარი ნარჩენების სათანადოდ მართვა | მუნიციპალიტეტის ტერიტორია | ისპექტირება | სკოლის ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში | მყარი ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება | გარემოს დაცვის სამინისტრო |

**დანართი 1: ორთოფოტო**

## დანართი 2: გენგეგმა



## დანართი 3: ტოპოგეგმა



## დანართი 4: საკადასტრო ინფორმაცია

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 69.08.62.077**

### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 882015539605 - 22/09/2015 15:53:43** | **15/10/2015 11:18:17** |

### საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| ხაშური | ხაშური | | |
| **69** | **08** | **62** | **077** |

**მისამართი: ქალაქი ხაშური , ქუჩა რუსთაველი , N 95**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება

**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო

**დაზუსტებული ფართობი:** 5767.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: **69.08.11.023;**

**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:** შენობა ნაგებობა N1 საერთო ფართი 1790 კვ.მ შენობა N2 საერთო ფართი 172.6 კვ.მ

### მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 692006001775 , თარიღი 19/07/2006**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- მომართვა N03-397 , დამოწმების თარიღი: 17/07/2006 , შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველო
- განკარგულება N14 , დამოწმების თარიღი: 15/01/2004 , ხაშურის რაიონის გამგეობელი

**მესაკუთრეები:**
**სახელმწიფო**

**მესაკუთრე:**
**სახელმწიფო**

**აღწერა:**

### იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

### სარგებლობა

| | |
|---|---|
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015539605 თარიღი 22/09/2015 15:53:43** | **მოსარგებლე:** სსიპ დავით კაკიაშვილის სახელობის ხაშურის N2 საჯარო სკოლა **მესაკუთრე:** სახელმწიფო; <br> საგანი:მიწის ნაკვეთი 5767.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართი 1790.0 კვ.მ, N2 საერთო ფართი 172.6 კვ.მ; <br> არსებობის ვადით; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/10/2015** | **მომართვა,რეესტრის ნომერი N11/54174, დამოწმების თარიღი11/09/2015, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** |

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემლებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს ლეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ღოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აკტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გვენიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაღსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

## დანართი 5: საკადასტრო გეგმა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *69 08 62 077*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011174712
მიწის ნაკვეთის ფართობი: *5767* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

მომზადების თარიღი: 14.04.11




01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ეკლდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

## დანართი 6: ობიექტის ფოტოები

**დანართი 7: საპროექტო ნახაზები (3D ვიზუალიზაცია და ა.შ.)**

**დანართი 8: საჯარო კონსულტაციის ოქმი**

**2023 წლის 27 იანვარი**

**ხაშურის მუნიციპალიტეტი**

**პროექტი: ინოვაცია, ინკლუზიურობა, და ხარისხი (საქართველო I2Q)**

**ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია**

**საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი**

**პროექტზე, გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშზე და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაზე**

2023 წლის 27 იანვარს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა (MDF) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (MES) ინიციატივით მოეწყო საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები პროექტისა და გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშის, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განსახილველად.

ქვეპროექტი „ხაშურის N2 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია“. შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტის ხაშურის N2 საჯარო სკოლის შენობაში გაიმართა. კონკრეტული ადგილი შეირჩა პროექტის სპეციფიკაციის მიხედვით. განცხადებაში გათვალისწინებული იყო საკონსულტაციო შეხვედრის დეტალები (თარიღი, დრო და საკონტაქტო ინფორმაცია). განცხადებები განთავსდა ქვეპროექტის ტერიტორიის მიმდებარე ქუჩებში, ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე და მგფ-ისა და განათლების სამინისტროს ვებ-გვერდებზე.

კონსულტაცია მიზნად ისახავდა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას ქვეპროექტის (SP) ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მისი პოტენციური ნეგატიური/დადებითი ზემოქმედების და მათი პრევენციისა თუ შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

**შეხვედრაზე დამსწრეები ხაშურის N2 საჯარო სკოლიდან:**

თამარ მახათაძე – ხაშურის N2 საჯარო სკოლის დირექტორი.

**მასწავლებლები, სტუდენტები და მშობლები:**

| | |
|---|---|
| 1. ქეთევან გოგალაძე; | 21. გიორგი ლომიძე; |
| 2. თამარ მაისურაძე; | 22. მაია ჯანაშვილი; |
| 3. ირმა კაბაძე; | 23. ბექა დალაქიშვილი; |
| 4. ლია მურვანიძე; | 24. საბა მოძმანაშვილი; |
| 5. ანდრო ფეიქრიშვილი; | 25. ნინო ლომიძე; |
| 6. ნათია ლომიძე; | 26. თინათინ ნოზაძე; |
| 7. მაია არსენაძე; | 27. ქეთინო თუთარაშვილი; |
| 8. ირინა ტეფნაძე; | 28. თამარ ლაცაბიძე; |
| 9. თამარ გელაშვილი; | 29. ლიანა სახვაძე; |
| 10. ლია კიკნაძე; | 30. მარიამ შარიქაძე; |
| 11. სოფიკო მეგრელიშვილი; | 31. სოფიო ხარხელი; |
| 12. ლარისა ლომიძე; | 32. ფიქრია დავითაძე; |
| 13. მარი ლომინაშვილი; | 33. თამარ ლომიძე; |
| 14. მარიანა ფერაძე; | 34. ნათია მსხალაძე; |
| 15. ზურაბ მჭედლიშვილი; | 35. თეა ლომიძე; |
| 16. ნანა მამულაშვილი; | 36. ინა ბიჭიკაშვილი; |
| 17. ქეთევან გელაშვილი; | 37. ნანული ბუხსრიკიძე ; |
| 18. ხატია ჭიღლაძე; | 38. თეა გრძელიშვილი; |
| 19. მარიამ მოსიაშვილი; | 39. თინიკო ხმალაძე. |

20. ლევან ლომიძე;

**სამინისტროს წარმომადგენლები:**

მარინე ჟვანია – GRM საკონტაქტო პირი

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:**

სალომე მეფარიშვილი - გარემოსდაცვითი სპეციალისტი;

ნონა ჭიჭინაძე – სოციალური და გენდერის სპეციალისტი;

დავით არსენაშვილი – განსახლების კონსულტანტი (GRM საკონტაქტო პირი).

შეხვედრა გახსნა სალომე მეფარიშვილმა და გააცნო მგფ-ისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და შეხვედრის მიზნები. მან მოკლედ გააცნო ქვეპროექტი (SP) და დეტალურად განიხილა ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილი ყველა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სალომე მეფარიშვილმა განმარტა, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, SP არ საჭიროებს გარემოს დაცვის გადაწყვეტილებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან (MEPA). თუმცა, SP-ის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მგფ პასუხისმგებელია მსოფლიო ბანკის (WB) პოლიტიკის დაცვაზე. აქედან გამომდინარე, მან წარმოადგინა მსოფლიო ბანკის სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP), რომელიც შემუშავებულია ამ ქვეპროექტისთვის.

სალომე მეფარიშვილმა მოკლედ ისაუბრა ESMP-ის შინაარსსა და სტრუქტურაზე. მან წარმოადგინა დოკუმენტში აღწერილი გარემოსდაცვითი, სოციალური, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და შრომის მართვის ღონისძიებები. როგორც ESMP-ის განუყოფელი ნაწილი, მან აცნობა დამსწრეებს ამ ქვეპროექტთან დაკავშირებული პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და შემარბილებელი ზომების შესახებ, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს ეს უარყოფითი ზემოქმედება.

მან აღნიშნა, რომ სკოლის ეზოში რამდენიმე ხე და ბუჩქია, ახალი დიზაინის მიხედვით, საჭიროა 11 ხის მოჭრა – მათგან 10 შავი ფიჭვი (Pinus Nigra) და ერთი ჰიმალაის კედარი (Cedrus deodara). აღნიშნული მოსაჭრელი ხეებიდან არც ერთი არ შედის საქართველოს წითელ ნუსხაში. სამშენებლო სამუშაოების დროს ამოღებული ნიადაგის ზედა ფენა დროებით შეინახება სამშენებლო მოედანზე, გათხრილი ნიადაგი სრულად ხელახლა გამოიყენება ტერიტორიაზე ეზოს გამწვანებისთვის.

სალომე მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ EMP არის სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. ამიტომ, სამუშაო კონტრაქტორისთვის სავალდებულოა სოციალური და ბუნებრივი გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ESMP ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება. მან ასევე განიხილა გარემოსდაცვითი მონიტორინგის ასპექტები, პასუხისმგებელი მხარეები გარემოსდაცვითი ზედამხედველობისთვის და ანგარიშგების პროცედურები SP-ის განხორციელების დროს.

ნონა ჭიჭინაძემ აუდიტორიას წარუდგინა ინფორმაცია საზოგადოების ჩართულობის, უკუკავშირის მექანიზმებისა და გენდერული საკითხების შესახებ. მონაწილეებს დაურიგდათ ბუკლეტები შევიწროებისა და ძალადობის შესახებ. შევსებულია კითხვარი სოციალურ და გენდერულ საკითხებზე.

დავით არსენაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის მასშტაბის მიხედვით ქვეპროექტი არ ითვალისწინებს მიწის აღებას ან განსახლებას, ასევე ეკონომიკურ გადაადგილებას (მაგალითად, ფორმალური ან არაფორმალური მოვაჭრეებისთვის). მან ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის პარალელურად სარემონტო სამუშაოების გატარების შემთხვევაში, სკოლის პერსონალსა და ბავშვებს დროებით გადაიყვანენ ალტერნატიულ სკოლაში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, ყველა დროებით ღონისძიებას სწავლებისა და სტუდენტების ალტერნატიულ ადგილებში გადაყვანის თაობაზე. მან მონაწილეებს გააცნო მგფ-ში შექმნილი საჩივრების განხილვის მექანიზმის პროცედურები და მათი მნიშვნელობა. საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაციის გაზიარება კომუნიკაციისთვის, გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით რაიმე საჩივრის არსებობის ან/და კომენტარების გამოხატვის შემთხვევაში. მან მიაწოდა ინფორმაცია ბანერებთან დაკავშირებით, სადაც მათ შეუძლიათ იპოვონ GRM-ის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომრები და ელ. ფოსტა), საჩივრების ყუთები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა სამშენებლო არეალზე, და საჩივრების ფორმები ანონიმური საჩივრებისთვის.

შეხვედრის დასასრულს დამსწრე საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო წარმოდგენილ საკითხებზე კითხვა-პასუხის რეჟიმში;

მათ დასვეს შემდეგი კითხვები:

| **კითხვები და შენიშვნები:** | **პასუხები და კომენტარები:** |
|---|---|
| სამშენებლო სამუშაოების დროს გადავლენ თუ არა სკოლიდან სკოლის პერსონალი და მოსწავლეები? | სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები დროებით ხაშურის N5 სკოლაში გადაინაცვლებენ. |

მონაწილეებმა მადლიერება გამოხატეს და აღნიშნეს, რომ ამ SP-ის განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისინი მზად არიან, პროექტი რაც შეიძლება მალე დაიწყოს.

დამსწრეებმა დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს პროექტის მიმართ.

თან ერთვის ფოტო მასალა:

## დამსწრეთა სია:

ხაშურის №2 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია

Reconstruction/Rehabilitation for Khashuri N2
Public School

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

Public Consultation Meeting - 27.01.2023

List of Attendees

| # | სახელი და გვარი / Full Name | მისამართი / Address | ორგანიზაცია / Organization | საკონტაქტო ინფორმაცია / Contact Information | ხელმოწერა / Sign |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | №2 [illegible] | 599901370 | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] | №2 [illegible] | 551099828 | [illegible] |
| 3 | [illegible] | [illegible] 95 | №2 [illegible] | 599 90 14 50 | [illegible] |
| 4 | [illegible] | [illegible] 93 | №2 [illegible] | 599901443 | [illegible] |
| 5 | [illegible] | [illegible] 95 | №2 [illegible] | 551099889 | [illegible] |
| 6 | [illegible] | [illegible] 95 | №2 [illegible] | 599901413 | [illegible] |
| 7 | [illegible] | [illegible] 95 | №2 [illegible] | 558252118 | [illegible] |
| 20 | [illegible] | [illegible] | №2 [illegible] | 599 25 29 80 | [illegible] |
| 21 | [illegible] | [illegible] | №2 [illegible] | 557 54 7031 | [illegible] |
| 22 | [illegible] | [illegible] | №2 [illegible] | 599 24 28 22 | [illegible] |
| 23 | [illegible] | [illegible] | №2 [illegible] | 598009295 | [illegible] |
| 24 | [illegible] | [illegible] | №2 [illegible] | 593942569 | [illegible] |
| 25 | [illegible] | [illegible] 15 | №2 [illegible] | 570 01 01 36 33 | [illegible] |
| 26 | [illegible] | [illegible] №11 [illegible] 13 | №2 [illegible] | 570010324 72 | [illegible] |
| 27 | [illegible] | [illegible] №15 | №2 [illegible] | 591232924 | [illegible] |
| 28 | [illegible] | [illegible] №13 | №2 [illegible] | 598 58 570010 54598 598 586964 | [illegible] |
| 29 | [illegible] | [illegible] №2 [illegible] 27 | №2 [illegible] | 577 603925 | [illegible] |
| 30 | [illegible] | [illegible] 50 | №2 [illegible] | 557 46 74 53 | [illegible] |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] №95 | №2 [illegible] | 599847-36-29 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] №95 | №2 [illegible] | 593-13-18-80 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] №95 | №2 [illegible] | 555406[illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] №17 | №2 [illegible] | 577014897 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] №5 | №2 [illegible] | 57001038233 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] №14. | №2 [illegible] | 593 664170 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] N 202 | N2 [illegible] | 577384672 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] №5 | №2 [illegible] | 599901441 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] N5. | N2 [illegible] | 599901404 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | №2 [illegible] | 599 13-01-55 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | N2 [illegible] | 555 50 1251 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | №2 [illegible] | 574051949 | [illegible] |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 31 | [illegible] | [illegible] №2 [illegible] | [illegible] | 598 313011 | [illegible] |
| 32 | [illegible] | [illegible] №29 | [illegible] №2 [illegible] | 555 510 621 | [illegible] |
| 33 | [illegible] | [illegible] №232 | [illegible] №221. [illegible] | 577 42 43 71. | [illegible] |
| 34 | [illegible] | [illegible] | [illegible] №2 [illegible] | | [illegible] |
| 35 | [illegible] | [illegible] | [illegible] №2 [illegible] | 593-21-39-93 | [illegible] |
| 36 | [illegible] | [illegible] №238. | [illegible] №2 [illegible] | 555-16-63-16 | [illegible] |
| 37 | [illegible] | [illegible] | | 599-90-14-31 | [illegible] |
| 38 | [illegible] | [illegible] | [illegible] №2 [illegible] | 591-29-03-57. | [illegible] |
| 39 | [illegible] | [illegible] | [illegible] №2 [illegible] | 555 61-17-76 | [illegible] |
| 40 | | | | | |
| 41 | | | | | |
| 42 | | | | | |

ოქმი მომზადებულია მგფ-ის წარმომადგენლების მიერ. მომზადების თარიღი: 1-ლი თებერვალი, 2023წ.